ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №1427078

ნომერი: AR1231678

თარიღი : 22.07.2014

გაცემის თარიღი : 29.08.2014

გაცნობის თარიღი : 01.09.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) N37;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე აბულაძე პ/ნ 62001003516
- თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. #17

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1361313
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 21.07.2014

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: შალვა ჩიტიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "სტუდიოატრიუმ"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405038212

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. '' თბილისის ხედი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404382020
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ალექსანდრე აბულაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 62001003516

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 353.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 258.9
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1088.35
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 450.95
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 128.25
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 36.8
- .სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 180.55
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 147.65
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 43.1
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 101.05
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 4201.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 3438.25
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 762.75
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 17.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 13.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.3
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 255.25 = 0.7
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 943.85 = 2.8
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 37.8 = 0.1

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 41–ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის 2014 წლის 8 აპრილს გაფორმებული N01 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ქ. თბილისში, ამაღლების ქ. N37–ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხი გადაგზავნილ იქნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში და განხილულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს "კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სექციის" მიერ, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც საკითხი განმეორებით უნდა იქნეს წარმოდგენილი: "პირველი სართულის ღიობების ფორმა და განთავსება შესრულდეს შენობის ზედა სართულების ღიობების ჩამოყალიბებული რითმის შესაბამისად. სახურავის ფორმა და სამერცხლულების სილუეტი საჭიროებს დახვეწას" (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 07.08.2014 წლის N¤/13/12/35 წერილი). სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ალექსანდრე აბულაძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

## ვბრძანებ

1. უარი ეთქვას, მოქ. ალექსანდრე აბულაძეს, ქ. თბილისში, ამაღლების ქ. N37–ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.